საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000068589397519

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **29** **24 / ივნისი / 2019 წ.**

განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N49-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 31,78 კვ.მ. ფართის ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე- 4 და მე 6 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, **ქ. ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N49-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 31,78 კვ.მ. ფართის ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“-სთვის** უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა. საკადასტრო კოდი 50.04.47.069.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ათი წლის ვადით

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი